PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები:

იაზონ დანელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯში „კონსტრუქტ2“ **დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება** განხორციელდა ***სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის № 301242 ბრძანების საფუძველზე.*** **წარმოების მიზანს შეადგენდა,** ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება.***

ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე პროგრამასთან დაკავშირებული დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია და ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა.

დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება, წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად, შედგა 2021 წლის 14 აპრილს, ZOOM პლატფორმის გამოყენებით.

ექსპერტების მიერ დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ორგანიზების თავისებურებები, რესურსები, განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია და შესაბამისი კომპეტენციები. დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი სივრცეები/აუდიტორიები. შეხვედრის დასასრულს, შესწავლილი დოკუმენტაციისა და შეხვედრისას განხილული საკითხების საფუძველზე, ექსპერტების მიერ აქცენტები გაკეთა ძირითად მიგნებებზე და გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის თვალსაზრისით აღსანიშნავია, მენეჯმენტის როლი და აქტიური ჩართულობა სხვადასხვა სოციალურ პროექტებში, როგორიცაა მოწყვლადი პირების მოზიდვა და მათი შემდგომი დასაქმების უზრუნველყოფა. რაც გამოიხატება როგორც რეგიონის მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციით, ასევე რეგიონში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), ფონდი „ტასო“, ქუთისის “SOS - ბავშთა სოფელი”, საქართველოს ქალთა დასაქმების ასოციაცია „ამაგდარი“, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), World Vision Georgia, ზესტაფონის პრობაციის სამსახური და სხვა).

დაწესებულება ხელს უწყობს რეგიონში სოც-კულტურული ღირებულებების დამკვიდრებას, აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან და ატარებს სხვადასხვა ტიპის კამპანიას ამ მიმართულებით, რასაც ასევე იყენებს როგორც პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მექანიზმს. ცდილობს, გენდერული თვალსაზრისით, ხელი შეუწყოს მის მიერ განხორციელებულ პროფესიებზე თანასწორობის მიღწევასა და გაზარდოს პროგრამებში ქალების ჩართულობა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, დაწესებულება 2019 წლის აპრილის თვეში შეფასდა (ბრძ.#2583 08.04.2019). ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა: მისიის ცვლილება-ლაკონურობასა და კონკრეტიზაციას დაწესებულების საქმიანობასთან, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მისანიჭებელი კვალიფიკაციის მითითებას, სხვადასხვა დოკუმენტებში მოდულების დასახელებების თანხვედრას, ასევე წინაპირობების მქონე მოდულებში დაშვებისა და განმეორებითი შეფასების, პროფესიული სტუდენტის სტატუსისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ პროცედურების, ტერმინების მარეგულირებელ წესში ასახვას, რედაქტირებასა და აქტუალიზებას. დაწესებულების მიერ, წინა ვიზიტისას გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული, ასახული და აქტუალიზებულია შესაბამის დოკუმენტებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა მიერ დაწესებულების დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდგი განმავითარებელი შინაარსის რეკომენდაციები:
ექსპერტთა მიერ დაწესებულების დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდგი განმავითარებელი შინაარსის რეკომენდაციები:

1. **კრიტერიუმი 2.1.1.**
   - დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში უმაღლეს განათლებასა და სამუშაო გამოცდილებასთან ერთად გაითვალისწინებული იქნეს პროფესიული კვალიფიკაცია/განათლება.

2. **კრიტერიუმი 2.2.1**.
   - სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალში, სასწავლო რესურსი წარმოდგენილი იყოს საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და ამასთან იძლეოდეს შესაბამის მოდულთან/მოდულებთან მარტივად იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

- დაწესებულების „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ 8.1.8 პუნქტის თანახმად „ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსით სარგებლობა ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერების გამოყენებით“, რაც საკმაოდ მოუქნელს ხდის საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყოს ელ. რესურსის მიწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით ან ელ. მატარებლით.

- *დაწესებულების მიერ, უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის შერჩევისას პროგრამის/შესასრულებელი საქმიანობიდან გამომდინარე კონკრეტული მიზნებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება, დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო მიზნებიდან გამომდინარე. ყოველწლიურ სამოქმედო ან/და მიმდინარე გეგმებში, შესასრულებელი ამოცანები იყოს კონკრეტიზებული, რაც გააიოლებს პროცესებთან/სტანდარტებთან/სტრატეგიულ მიზნებთან მათ იდენტიფიცირებას.

- *უზრუნველყოფილი იქნეს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.*

კრიტერიუმი 2.3.1.

- დაწესებულების პროცედურა აქცენტირებულია ხარვეზების აღმოჩენასა და მათ კორექტირებაზე, თუმცა ხარისხის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით, მენეჯმენტი ასევე ორიენტირებული უნდა იყოს დადგენილ სტანდარტებთან/პროცედურებთან შესაბამისობის შენარჩუნებასა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს პროცედურის რედაქტირება, პროცესის სრულყოფის მიზნით, შეიმუშაოს/დაგეგმოს ხარისხის მენეჯმენტის შენარჩუნების უაცილებელი ქმედებები. ასევე, სასურველია პროცესების მართვის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ დაადგინოს (ან ინტეგრირდეს სამოქმედო გეგმებში) კვლევისა და პროცესების შესრულების ეფექტურობის მაჩვენებლები. ასევე, სამოქმედო გეგმის ანალიზის/ანგარიშის დოკუმენტების შინაარსი მოიცავდეს არა მხოლოდ შესრულებული აქტივობების აღწერას, არამედ დაგეგმილი და განხორციელებული ამოცანების შესრულების, მიღწეული შედეგების/მოლოდინების ხარისხისა და ეფექტურობის მაჩვენებლებს/ანალიზს. სამოქმედო გეგმის შესრულების ან/და პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის ანალიზის დოკუმენტში აისახოს მიმდინარე პერიოდში განხორციელებული გარე შეფასებისა და მათზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია.
- პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პროგრამაში ცვლილების პროცესმა მოიცვას ყველა ის პირი, რომელიც ჩართულია პროგრამის კომპონენტის/მოდულის განხორციელების პროცესში და კომპეტენტურია გააკეთოს შესაბამისი დასკვნა/ინიცირება.

4 კრიტერიუმი 2.4.1.

- ისგ შემუშავებისას, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ყველა სხვა შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, გარდა სსსმ/შშმ პირების მიერ სწავლის შედგების ვერ დადასტურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

შემთხვევისა. დაწესებულებამ ამ შემთხვევაშიც უნდა უზრუნველყოს, სსსმ/შშმ პირების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათი და/ან მათი კანონიერი წარმომადგენლების/მეურვეების აქტიური ჩართვა პროგრამის შემუშავება-შეთანხმების პროცესებში.

- პროცესების გაუმჯობესებისა და ეფექტურად მართვის მიზნით, სასურველია დაწესებულებამ აწარმოოს გამოვლენილი საჭიროების/აპელაციის წარმოშობის მიზეზი/მიზეზების და მათი გადაჭრისთვის განხორციელებული ღონისძებების ეფექტურობის კველვა. ასევე, სასწავლო პროცესისა და ხარისხის მენეჯმენტის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია დაადგინილი იყოს პროცესის ეფექტურობის ზღვარი/გასაჩივრების შესაძლო დასაშვები რაოდენობა. აღნიშნული საკითხების წარმოების წესები აისახოს შესაბამის პროცედურაში.

5 კრიტერიუმი 2.4.6.

- *რეკომენდირებულია დაწესებულების მენეჯმენტმა უზრუნველყოს საქმიანობის დაგეგმვისას რისკების შეფასება და რისკზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მოდულების მატერიალური რესურსი/სასწავლო გარემო არ მოიცავს სველ წერტილს და ამწოვ სისტემას, პროფესიული სტუდენტების და პერსონალის უსაფრთხოების, ასევე სასწავლო ექსპერიმენტების/რეაქციების უსაფრთხოდ განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ქიმიის სწავლებისთვის, ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიაში, მოეწყოს სველი წერტილი და ამწოვი კარადა/ ინდივიდუალური სავენტილაციო/გამწოვი სისტემის მონტაჟი.*

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ „სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის ბრძანება #170395
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა # 28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ქ.ზესტაფონი, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა # 28, 60 პროფესიული სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

კოედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მისია - ***დაწესებულების, როგორც კერძო და საჯარო სექტორის ურთიერთანამშრომლობის პროდუქტის, მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება, ასევე, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია.***

ასევე სტრატეგიული გეგმის (2020-2026) ამოცანის (სტრატეგიული მიზანი 1, ამოცანა 1) აქტივობას წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ახალი პროფესიული პროგრამების დამატება განხორციელება, რისი უზრუნველოფის მიზნით, დაწესებულების მიერ, ჩატარდა ბაზრის კვლევა. კვლევის მიზანს, შრომის ბაზრის მოთხოვნების და დამსაქმებლის მიერ პროფესიული კადრის საჭიროების გამოვლენასთან ერთად ასევე წარმოადგენდა, ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობათა ანალიზიც; ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში, დამუშავდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციიდან გამოთხოვილი მონაცემები. დაწესებულების მიერ განხილული იქნა ასევე დოკუმენტები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალი რეგიონულ ჭრილში.
- ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია აბიტურიენტთა შორის პოპულარული პროფესიების შესახებ.

რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა, ამ მიმართულებით სპეციალისტების საჭიროება, ასევე იმერეთის რეგიონში საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ საშუალო განათლების სრული კურსის დასრულების შესახებ მზარდი დინამიკა. გარდა ამისა, ანალიზი განხორციელდა გენდერულ ჭრილშიც, რაც ასევე წარმოადგენს კოლეჯის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ინტერესს, გაზარდოს პროფესიულ განათლებაში ქალთა ჩართულობა. ანალიზით გამოიკვეთა, რომ მათი ჩართულობა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით დაბალია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის მიერ განხორციელებულ კვლევაში ჩართულ კომპანიებს აქვთ გამოცდილება პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისა და ასევე გამოთქვამენ მზაობას შემდგომი დასაქმების შესახებ. კოლეჯს აქვს ასევე ამბიცია და მიზანი, იყოს რეგიონში ინტეგრირებული პროგრამის პირველი განმახორციელებელი.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის მოთხოვნებთან. პროგრამებზე დაშვების პროცედურა რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №164208 ბრძანებით დამტკიცებული - *„ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ 2''პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად (მუხლი 2).* რეგულაციით განსაზღვრულია: აპლიკანტის რეგისტრაციის, შერჩევის, ჩარიცხვის, მათ შორის კონკურსის ან დარჩენილი ვაკანტური ადგილების მართვისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა პროცესების წესები. დაწესებულების მიერ განსაზღვრული რეგულაციები შესაბამისობაშია საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებთან.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს, დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის №167327 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ემყარება პროგრამის სპეციფიკას, განმახორციელებელ პირთა, სასწავლო/სამუშაო ადგილების რაოდენობასა და სასწავლო სივრცეების, პრაქტიკის ობიექტების გამტარობას/დატვირთვას.

საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პრაქტიკული კომპონენტი (გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი) ხორციელდება დაწესებულების სივრცეში, შესაბამისად კვოტის გაანგარიშებისთვის დაწესებულებას გათალისწინებული აქვს მხოლოდ შიდა რესურსი (დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის №170175 ბრძანება ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის'' და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მატერიალური რესურსის გათვალისწინებით“).

დაწესებულების მიერ „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა შემდეგი მაჩვენებელების გათვალისწინებით:

- B, C (კაბინეტი №6) გარემო - ფართი 46.6კვ.მ, პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20;
- A გარემო (კაბინეტი №2) - ფართი - 40 კვ.მ, პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20;
- ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის (კაბინეტი №4) გარემო- ფართი 47.5 კვ.მ, პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20;

კომპიუტერული ქსელის და სისტემის პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის დატვირთვა ნაწილდება შემდეგი პროცენტულობით:

- დატვირთვა A გარემოში 45,87 % (1747საათი);
- დატვირთვა B და C გარემოში- 42,33% (1611 საათი);
- დატვირთვა ინტეგრირებულ გარემოში - 11,8 % (450 საათი).

დაწესებულების მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აწყობილი, რომ კვირეული დატვირთვის 50% ეთმობა ინტეგრირებულ მოდულებს. შესაბამისად B, C გარემოს დატვირთვა არის მაქსიმუმ 15 საათი კვირაში, ინტეგრირებული ლაბორატორიის - 11,8%, რაც ერთი ჯგუფის შემთხვევაში, კვირაში 7 საათს არ აღემატება. შესაბამისად დაწესებულებას ერთ ცვლაში 2 ჯგუფის სწავლება (თითოეული 20 პროფესიული სტუდენტით) შეუძლია, რადგან ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია, თითოეულ სასწავლო წელს, გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტის/ერთი ჯგუფის მიღება.

შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად, ორ ცვლაში განსაზღვრული აქვს სულ 60 სტუდენტი (20X3=60), რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

4. დაწესებულება აღჭურვილია ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც იძლევა შესაძლებლობას პროფესიულმა სტუდენტებმა/მსმენელებმა ისარგებლონ გამართული ინფრასტრუქტურითა და სერვისებით. თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საჭირო მატერიალური აღჭურვილობა ამ ეტაპისთვის დაწესებულებას არ აქვს, შესაბამისად, სტანდარტის პუნქტი 2.2.1, დაწესებულების მიერ შეფასებულია, როგორც „მეტწილი“ და ასახულია დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომლის შესრულებისთვისაც განსაზღვრულია 6 თვიანი ვადა.

მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადამოწმდა დარგის ექსპერტის მიერ, მითითებული რესურსი შესაბამისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა.

დარგის ექსპერტის მიერ აღინიშნა, რომ დარგობრივ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის „ლინკები“ საჭიროა რედაქტირდეს. მოდულებში მითითებულია www.vet.ge-ს ძველი გვერდის მისამართები. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისა და ასევე განაცხადის გაკეთების პროცესში არ იყო ახალი პორტალი აქტიური. დარგობრივი ექსპერტის მიერ გაიცა ასევე რეკომენდაცია, რომ ***სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს CISCO-ს ქსელური აკადემიის ვებ პლატფორმასა და სასწავლო რესურსებზე ავტორიზებული წვდომა (პროგრამის მიზნებისთვის კონკრეტულად კურსებზე: IT ESSENTIALS და CCNA) .***

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი და სხვა საერთო პროფესიული მოდულებში მითითებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებო პროგრამას არჩევითი მოდული არ აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის №170395 ბრძანებით. დაწესებულების დირექტორის აღნიშნული უფლებამოსილება, განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით (მუხლი 5, პუნქტი „ბ“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

7. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება იდენტურია ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) კონცენტრაციისა, შესაბამისად არ არის შეცდომაში შემყვანი და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის #164208 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ საგანმანათლებო პროგრამის დამტკიცების, ცვლილების და გაუქმების წესის“ მოთხოვნების დაცვით (მუხლი 4). პროცედურის თანახმად, დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, რეკომენდაციით მიმართავს დაწესებულების დირექტორს. ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და გამოსცემს ბრძანებას სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის შემდაგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერები, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი-არქივარიუსი, ფინანსური მენეჯერი, დამსაქმებელი; პროგრამის შემუშავების შემდეგ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერების სამსახურებრივი ბარათის წარდგენის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს პროგრამის დამტკიცების შესახებ ბრძანებას.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამა შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები. პროგრამის მოცულობა ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისას (არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი; ინტეგრირებული სწავლებისას ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 148 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 178 კრედიტი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

პროგრამის დაგეგმვა და ხანგრძლივობა შესაბამისია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანების N170/ნ „საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებისა.

დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია მოდულური მიდგომით განსახორციელებელი პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი, ინტეგრირებული, საერთო დარგობრივი, პროფესიული, ქართული ენა A2, B1), სასწავლო გეგმა (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისთვის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენენტებისთვის), ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. სასწავლო გეგმებში დაცულია წინაპირობები და განმეორებითი შეფასების ვადები. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, რაც საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ აღემატება 40 საათს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შრომის ბაზრის მოთხოვნების და საჭიროების კვლევა
2. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
3. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2“ სტრატეგიული გეგმა (2020-2026)
4. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2“ მისია
5. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N 170175 ბრძანება ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“,, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის ’’ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების’’ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მატერიალური რესურსის გათვალისწინებით“
7. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ 2“ დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის ბრძანება #170395 „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის'' ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“
8. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2ის“ საგანმანათლებო პროგრამის დამტკიცების, ცვლილების და გაუქმების წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

9. სატენდერო დოკუმენტაცია (მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის #1 ოქმის ასლი (15.03.2021), სატენდერო განცხადება, სატენდერო დავალება)
10. ელექტრონული რესურსისა და წიგნების ჩამონათვალი;
11. დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის #170640 ბრძანებით 26.02.2021)
12. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“
13. დაწესებულების ვებგვერდი https://construct2.ge/students/students-room
14. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დისტაციური ჩართვისას ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ რესუსრის გაცნობა-დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული სწავლებისა და ზოგადი მოდულების პრაქტიკული კომპონენტისთვის (ინფორმაციული წიგნიერება) განკუნთვნილი აუდიტორიები აღჭურვილია განსაზღვრული კვოტის გათვალისწინებით - ახალი სასწავლო ინვენტარით/ავეჯით, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერები, დემონსტრირების საშუალებები). თუმცა პროგრამის ინტეგრირებული მოდულებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებსითვის საჭირო მატერიალური რესურსი, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებისა და სისტემური სერვისების გამართვის აპარატურული საშუალებები, ამ ეტაპზე დაწესებულებას მფლობელობაში არ აქვს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაცია (კორესპონდენცია (22.02.22021 #143681 და 25.02.2021 #164211) პროგრამის აუცილებელი მატერიალური რესურსის დაფინანსებასა და შესყიდვებთან დაკავშირებული თანხმობისა და პროცესების დაწყების შესახებ). დაწესებულების ფინანსურმა მენეჯერმა ექსპერტებთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი, რისი დამდასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებით. ასევე აღნიშნა, რომ დამატებით გამოცხადდება კონსოლიდირებული ტენდერი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი სიმძლავრის კომპიუტერების შესაძენად (სულ 20 ერთეული). ფინანსური მენეჯერის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი განაწილდა ინტეგრირებულ და დარგობრივ (CISCO) ლაბორატორიებზე, ჯამში 69 700 ლარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მატერიალური აღჭურვილობის შესაბამისი ინდიკატორი (პუნქტი 2.2.1)დაწესებულების მიერ შეფასდა როგორც „მეტწილი“. აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ ასახულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომლის შესრულებისთვისაც განსაზღვრულია 6 თვის ვადა.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული განათლების მასწავლებლების შეჩევა განხორციელდა კონკურსის წესით, რაც ასევე დაგეგმილი იყო მიმდინრე 2021 წლის სამოქმედო გეგმით. სულ ***საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით შეირჩა 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი, 6 - ზოგადი საფეხურის ინტეგრირებული მოდულების, ხოლო პროფესიული მოდულების - 3***. პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და გარდა სალექციო დროისა მოიაზრებს მოდულის შესაბამისი კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შედგენას, პროფესიული სტუდენტების კონსულტირება-შეფასებას და სხვა. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. თუმცა გასაუბრების დროს ერთ-ერთმა პროფესიულმა მასწავლებელმა (ვ. ც.) დაადასტურა, რომ მას ამ ეტაპზე არ აქვს კომპეტენცია ასწავლოს CISCO-ს აპარატურაზე შესაბამისი მოდულები. გასაუბრების დროს მან განაცხადა, რომ შეუძლია აღნიშულ თემატიკას დაეუფლოს მოკლე დროში. დარგის ექსპერტის მიერ დაწესებულებას მიეცა განმარტება, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელია, პროფესიულ მასწავლებელს გააჩნდეს CISCO-ს აპარატურასთან მუშაობის ცოდნა და უნარები, რათა მან სრულფასოვნად შეძლოს პროგრამაში არსებული დარგობრივი მოდულების სწავლება, იქედან გამომდინარე, რომ CISCO-ს მარშუტიზატორებთან და კომუტატორებთან მუშაობის სწავლება, პროგრამის ერთ-ერთი მიზანია. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია CISCO-ს სასწავლო პლატფორმის მიხედვით, ამიტომ სასურველია დარგობრივი მოდულების განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარონ სპეციალური გადამზადება CISCO-ს ქსელურ აკადემიაში კურსებზე: IT ESSENTIALS და CCNA. რაც ასევე იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის შესაძლებლობა ისარგებლონ CISCO-ს პორტალიდან სასწავლო რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტმა აღნიშნა ასევე, რომ პროგრამის მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ პროფესიული განათლების მასწავლებელის (ნ. ა.) პირად საქმეში წარმოდგენილია დოკუმენტებით, რომლითაც დასტურდება, მისი დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის შესაბამისი კომპეტენცია. თუმცა პროგრამის დანართი განმახორციელებელი ადამიანური რესურსების შესახებ, აღნიშნული პირი არ განიხილება დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირად.

ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლების უმრავლესობას უდასტურდება ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში ან „კონსტრუქტ2“-ის ავტორიზებულ პროგრამაზე შესაბამისი დისციპლინების/მოდულების სწავლების გამოცდილება.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუთი და ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული კორესპონდენციით ირკვევა, რომ დაწესებულება გეგმავს სამინისტროსა და მასწავლებელთა სახლის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში პერსონალის ჩართვას. პერსონალის კვალიფიკაციის საჭიროებების გამოვლენა, მის ამაღლებაზე ზრუნვა და დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, შესაბამისი ტრენინგების მოძიება-დაგეგმვა, ასევე შეადგენს 2021 წლის სამოქმედო გეგმის ამოცანებს. თუმცა, გეგმა არ მოიცავს კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათალს. აღნიშნული საკითხი არ არის ასევე გაწერილი შეუსაბამობის უზრუნველყოფის გეგმაში. დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წერილთან ერთად წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის დირექტორის ბრძანება, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ცვლილებების შესახებ, სადაც დამატებულია არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის ღონისძიებები *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლება“.* არგუმენტირების წერილში დაწესებულება აღნიშნავს, რომ დარგობრივი მოდულების განხორციელება დაგეგმილია სწავლის დაწყებიდან 1,5 წ-ში, შესაბამისად აღნიშNული პერიოდი გამოყენებული იქნება შერჩეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. ამ მიზნით დაწესებულებას უკვე გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „ბრეინ სოლუშენს“-თან (14.05.2021 წ.).

დაწესებულების მიერ ხელშეკრულება გაფორმებულია ასევე „ინფორმაციული წიგნიერების“ მასწავლებელთან (ნ.ა.), რომელსაც ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით, უდასტურდებოდა შესაბამისი კომპეტენციები (ხელშეკრულება N08-31 14.05.2021).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ხოლო დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები უნდა გადამზადდენ CISCO-ს ქსელურ აკადემიის შესაბამის პროგრამებზე.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შერჩეულია პირი რომელიც ფლობს კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები აღწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა“.

დოკუმენტით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, როგორიცაა: პროგრამის ადმინისტრირების პროცესის კოორდინერება; შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და მათდამი დადგენილი მოთოვნებისა და პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა და ვალიდაციის შემთხვევაში მისი დადასტურება, გარდა იმ ინსტრუმენტისა, რომლის ავტორიც თავადაა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ; სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში; შესრულების მტკიცებულებების შეგროვების-შენახვის უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესის/პრაქტიკის მენეჯერისთვის გადაცემა; სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების პროცესების საორგანიზაციო პროცესებში ჩართულობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, შეცვლასა და დანერგვაში მონაწილეობა; მოდულის კალენდარული გეგმის შემუშავება, განხორციელებული მოდულის შეფასება და სასწავლო პროცესის/პრაქტიკის მენეჯერებისთვის წარდგენა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობებში ჩართულობა; აღნიშნული კომპეტენციები ასევ დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით (#08-10 22.02.2020 წ,), სადაც ასევე მითითებულია, რომ პირი პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებთან ერთად ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციებსაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დარგობრივი ექსპერტის მიერ მოხდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, პროგრამის/მოდულის შინაარსის, სწავლებისა და შეფასების შესახებ. ექსპერტის შეფასებით, ***დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები უნდა გადამზადდენ დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით.***

5. დისტანციური შეხვედრისას, ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიტერული ტექნიკით (კომპიუტერით, კომბაინით (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი)) უწყვეტი ინტერნეტკავშირით.

დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. ვიზუალური შემოწმებისას დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ***წარმოდგენილი სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მისაღწევ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.*** ასევე, **პროფესიული განათლების მასწავლებლების გადაზადების შემთხვევაში, დაწესებულებას ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს CISCO-ს ოფიციალური სასწავლო რესურსებით.** ბიბლიოთეკას ემსახურება კვალიფიციური ბიბლიოთეკარი.

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული სახით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის/მკითხველის უფლებები. წესი და წიგნადი ფონდის, მათ შორის ელექტრონული, ჩამონათვალი, განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

სასურველია ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი ნუსხაში იყოს წარმოდგენილი საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად შეტანილი, ასევე იძლეოდეს შესაბამის მოდულებთან მარტივად იდენტიფიცირების შესაძლებლობას. დაწესებულების „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში“ გაწერილია პუნქტი (8.1.8) - „ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსით სარგებლობა ბიბლიოთეკის მკითხველს შეუძლია მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერების გამოყენებით“ - რაც მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საკმაოდ მოუქნელს ხდის საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას. პერსონალმა, შეხვედრისას აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა არ სარგებლობს კომპიუტერით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

მათთვის ხელსაყრელია ბეჭდური ვერსიით სარგებლობა. პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობისა და საბიბლიოთეკო რესურსებთან ხელმისაწვდომობის მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ბიბლიოთეკაში თანამშრომლის მუდმივად არსებობა.

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყოს ელ. რესურსის მიწოდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით ან ელ. მატარებლით.

6. დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-13 მუხლით გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ და ასევე მე-15 მუხლი „ ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა“.

დაწესებულებას მართალია ამ ეტაპისთვის არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა, თუმცა მარეგულირებელ წესებში იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი, პირის/პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათალისწინებით. რაც გულისხმობს ამ პირების საგანმანათლებლო-სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ადაპტირებული გარემოს მოწყობას, რომელიშიც სასწავლო ფართის ადაპტირების გარდა მოიაზრება: საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და შესაბამისი სპეციალისტების - ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის სასწავლო პროცესის ჩართვას.

7. დაწესებულების დამფუძნებლები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შპს „ბკ ქონსთრაქშენი“. წესდებით განსაზღვრული დაფინანსების წყაროები შესაძლოა იყოს დამფუძნებელთა ფულადი და არაფულადი შენატანები, ასევე სახელმწიფოს მხრიდან როგორც ვაუჩერული, ისე მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება, საგანმანათლებლო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, რითაც დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულების მიერ შედგენილია პროგრამის ფინანსური ბიუჯეტი, ასევე განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი - 12 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის დამდასტურებელი დოკუმენტები
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა
4. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება
5. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ საგანმანათლებო პროგრამის დამტკიცების, ცვლილების და გაუქმების წესი“
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამინური რესურსი
7. პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
8. დაწესებულების შესაბამისი რესურსების დათვალიერება.
9. პროგრამის ბიუჯეტი
10. დაწესებულების ვებგვერდი https://construct2.ge/students/students-room

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას ხარისხის სისტემის განვითარებისთვის შემუშავებული აქვს შიდა პროცედურა „ხარისიხს უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომელიც ეყრდნობა უწყვეტ ცილკს - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. შეფასებისა და განვითრების პროცესის მართვა ხდება დაინტერესებული მხარეების (პერსონალი, მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაზე პასუხისმგებლობა ევალება ხარისხის მართვის მენეჯერს. სხვა ძირითად თუ დამხმარე პროცესების მართვაზე დაწესებულების მიერ გამოყოფილია შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პირები, რომელთა ჩართულობაც ასევე მოიაზრება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი კომპონენტების განხორციელების შეფასებისთვის დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს შიდა მხარდაჭერისა და ვერიფიკაციის ჯგუფები, რომლებიც, ინტერსეთა კონფლიქტის გათვალისწინებით, იქმნება დაწესებლების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

შეფასების მექანიზმები მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურისა და სასწავლო საგანმანათლებლო პროცესებისთვის საჭირო რესურსებისა და ტექნოლოგიურ მხარდაჭერის კვლევას, ასევე განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დასაქმებულების გამოკითხვას, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. გამოკითხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულებას კურსდამთავრებულთა კვლევისთვის დადგენილი აქვს კვლევის პერიოდულობა, ვადები - პროგრამის დასრულებიდან 3 და 6 თვის შემდეგ. მიმდინარე ეტაპისთვის დაწესებულების მიერ განხორციელებულია მხოლოდ მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა. როგორც სამოქმედო გეგმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წლიური ანგარიშებიდან იოკვევა, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევა პანდემიის გამო გადაიდო. კითხვარების ანალიზის საფუძველზე შიდა მხარდაჭერს ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და სახავს მათი აღმოფხრის გზებს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.

აღსანიშნია, რომ დაწესებულების პროცედურა აქცენტირებულია ხარვეზების აღმოჩენასა და მათ კორექტირებაზე, თუმცა ხარისხის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით, მენეჯმენტი ასევე ორიენტირებული უნდა იყოს დადგენილ სტანდარტებთან/პროცედურებთან შესაბამისობის შენარჩუნებასა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს პროცედურის რედაქტირება, პროცესის სრულყოფის მიზნით, შეიმუშაოს/დაგეგმოს ხარისხის მენეჯმენტის შენარჩუნების უაცილებელი ქმედებები. ასევე, სასურველია პროცესების მართვის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ დაადგინოს (ან ინტეგრირდეს სამოქმედო გეგმებში) კვლევისა და პროცესების შესრულების ეფექტურობის მაჩვენებლები. ასევე, სამოქმედო გეგმის ანალიზის/ანგარიშის დოკუმენტების შინაარსი მოიცავდეს არა მხოლოდ შესრულებული აქტივობების აღწერას, არამედ დაგეგმილი და განხორციელებული ამოცანების შესრულების, მიღწეული შედეგების/მოლოდინების ხარისხსა და ეფექტურობას. სამოქმედო გეგმის შესრულების ან/და პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის ანალიზის დოკუმენტში აისახოს მიმდინარე პერიოდში განხორციელებული გარე შეფასებისა და მათზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

ასეევე ყოველწლიურ სამოქმედო ან/და მიმდინარე გეგმებში, სასურველია შესასრულებელი ამოცანები იყოს კონკრეტიზებული, რაც გააიოლებს პროცესებთან/სტანდარტებთან/სტრატეგიულ მიზნებთან მათ იდენტიფიცირებას.

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებო პროგრამის დამტკიცების, ცვლილების და გაუქმების წესი“, რომლის 4.8. პუნქტით განსაზღვრულია პროგრამაში ცვლილების განხორციელების კონკრეტული წესი. კერძოდ: პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ხდება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერების სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შექმნილი ჯგუფის მიერ. ცვლილებაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში, პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები არიან. ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადში, შესაბამისი კრიტერიუმის აღწერაში მითითებულია, რომ ცვლილების ინიცირება ხდება დაწესებულების ხარისხის მენჯერის მიერ. ინიცირების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს დასაბუთებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტად, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული პროგრამის/მოდულის შეფასება, თუმცა მისი მიერ არ ხდება უშუალო ინიცირება ცვლილების შესახებ. *პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პროგრამაში ცვლილების პროცესმა მოიცვას ყველა ის პირი, რომელიც ჩართულია პროგრამის კომპონენტის/მოდულის განხორციელების პროცესში და კომპეტენტურია გააკეთოს შესაბამისი დასკვნა/ინიცირება.* აღნიშნული საკითხი განხილული იყო დაწესებულების წარმომადგენელთან ონლაინშეხვედრაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
2. დაწესებულების 2021 წლის სამოქმედო გეგმა
3.„ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილების და გაუქმების წესი“
4. „ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2“ სტრატეგიული გეგმა (2020-2026)
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა
6. დაწესებულების 2020 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში
7. პერსონალთან ინტერვიუს შედგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მიდგომით განხორციელების, ასევე ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენენტების სწავლების შემთხვევებისთვის. სასწავლო გეგმებში დაცულია წინაპირობები და განმეორებითი შეფასების ვადები. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ სასწავლო გეგმებში ქართული ენის მოდულების სწავლებას, არაქართულენოვანი სტუდენტების სწავლების შემთხვევაში, ეთმობა 1-20 კვირა (კვირეული საშუალო საათობრივი დატვირთვა 38 საათი). არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში სასწავლო გეგმის განხორციელების/პროგრამის ხანგრძლივობა - 65 სასწავლო კვირა, ხოლო ინტეგრირებულის შემთხვევაში - 120 სასწავლო კვირა.

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს ისგ შემუშავების პროცედურა, რომელშიც საფუძველზეც ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ისგი-ს შემუშავება და სწავლების ხელშეწყობა; ასევე შემუშავებულია სტუდენტა მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც სხვასთან ერთად მოიცავს საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ კონსულტირებასა და სტუდენტთა დახმარებას. გარდა ამისა, 2 თვეში ერთხელ ადმინისტრაციის მხრიდან იგეგმება შეხვედრები სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით, ასევე დაწესებულებაში შექმნილია სტუდენტთა ინიციატივის ჯგუფი, რომელიც ასევე ემსახურება პროფესიული სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირებას და ადმინისტრაციის ინფორმირებას. გამოვლენილი საჭიროებების შესახებ იგეგმება გადაჭრისთვის აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ მოიცავს გასაჩივრების წესებსაც (პუნქტი 10.7 და 10.7.1.). წესი უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტისა და სტუდენტის უფლებების დაცვას.

პროცესების გაუმჯობესებისა და ეფექტურად მართვის მიზნით, სასურველია დაწესებულებამ აწარმოოს გამოვლენილი საჭიროების/აპელაციის წარმოშობის მიზეზი/მიზეზების და მათი გადაჭრისთვის განხორციელებული ღონისძებების ეფექტურობის კველვა. ასევე, სასწავლო პროცესისა და ხარისხის მენეჯმენტის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია დაწესებულებამ დაადგინოს პროცესის ეფექტურობის ზღვარი/გასაჩივრების შესაძლო დასაშვები რაოდენობა.

3. დაწესებულება ახალი დაარსებულია და მისი ინფრასტრუქტურა სრულიად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტისა და ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს განაცხადი გაკეთებული შესაბამის ტექნოლოგიურ აღჭურვაზე, რომლეც სრულ თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მატერიალურ რესურსთან.

საგანამანთლებლო პროგრამის მოდულები, მოიცავს მრავალფეროვან სწავლის მეთოდებს, როგორიცაა: ლექცია, პრეზენტაცია, პროფესიული განხილვები, დისკუსია, შესასრულებელი სამუშაოების/დავალებების, ინსტრუქაჟით სწავლება, პრაქტიკული სავარჯიშო და ა.შ. განხორციელების მიდგომებში დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს დისტანციური ფორმით განხორციელების შესაძლებლობები, სწავლის შედგების შინაარსიდან გამომდინარე.

პროგრამის განმახორციელებელ ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი ცნობები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კოლეჯში „კონსტრუქტ2“ მასწავლებლად მუშაობის შესახებ, ხოლო პროგრამაში ჩართული პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი საჭიროებს შესაბამისი უნარების განვითარებას.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რისთვისაც შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წესი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი13). წესი განსაზღვრავს საჭიროებების ჩამონათვალს როდესაც ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ასეთი შემთხვევებია:

- სტატუს შეჩერებული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენა;
- პროფესიული სტუდენტის მობილობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფა.
- თუ სსსმ/შშმ პირის მიერ ვერ ხდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების დადასტურება; ამ უკანასკნელის შემთხვევაში, პროფესიული განათლების ინიცირების საფუძველზე, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერების მიერ ხორციელდება დასწრება, ანალიზი და პროფესიული სტუდენტის ასისტენთან ერთად, რის შემდეგაც, 5 დღის განმავლობაში, დგება ისგ.

ისგ შემუშავებისას, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ყველა სხვა შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, გარდა სსსმ/შშმ პირების მიერ სწავლის შედგების ვერ დადასტურების შემთხვევისა. სავალდებულოა, დაწესებულებამ უზრუნველყოს ამ შემთხვევაშიც, სსსმ/შშმ პირების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათი და/ან მათი კანონიერი წარმომადგენლების/მეურვეების აქტიური ჩართვა პროგრამის შემუშავება-შეთანხმების პროცესებში.

5. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა** არ გულისხმობს საწარმოო პრაქტიკას. ხოლო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ განხორციელების თავისებურებებში დაწესებულება აღნიშნავს, რომ სწავლებისას „მიზანშეწონილია პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის მიზნობრივი ექსკურსიის ორგანიზება“. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია ადგილზე, ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიასა და ე.წ. **CISCO**-ს ლაბორატორიაში, რომელთა სრულ აღჭურვილობაზე დაწესებულებას დაწყებული აქვს შესყიდვის პროცესი. დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავება ხდება ასევე CISCO-ს სასწავლო პორტალზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებასთან ჩართვისას არ ყოფილა პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმები წარმოდგენილი, სწორედ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა წარმოდგენილია პარტნიორების ნუსხა, რომლითაც ირკვევა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი მმართველობით ორგანოებთან, საჯარო და კერძო კომპანიებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო ექსკურსიის ორგანიზების მიზნით, მიმდინარეობს ქალაქის მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

6. დაწესებულებაში, საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, გამოყოფილია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი. შემუშავებულია ასევე შიდა პროცედურები, საგანგებო სიტუაციების მართვის, ინფექციის კონტროლის, ასევე სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და პერსონალის, მათ შორის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლების/ინსტრუქტირების პროცედურები.

დაწესებულების მიერ, განაცხადში შესაბამის პუნქტთან გაკეთებულია ჩანაწერი, რომ „პროფესიული პროგრამის განხორციელება არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების წესებს“, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ქიმიის სწავლებას, პრაქტიკული კომპონენტის აღჭურვილობა/მოწყობილობები მოიხმარს ელენერგიას, რაც სავალდებულოს ხდის უსაფრთხოებისა და უტილიზაციის წესების გაწერას შესაბამისი კაბინეტების/ლაბორატორიებისთვის, პერსონალისა და სტუდნტებისთვის სავალდებულო (პირველადი, გეგმიური) ინსტრუქტაჟების განხორციელებას. მით უფრო, რომ ინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლებაა, შესაბამისად, დაწესებულებას მეტი აქცენტების გაკეთება და მობილიზება სჭირდება უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მოდულების მატერიალური რესურსი/სასწავლო გარემო არ მოიცავს სველ წერტილსა და ამწოვი სისტემას, ქიმიის სწავლებისთვის (ე.წ. ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიისთვის) უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე სველი წერტილი (ონკანი, ნიჟარა, რეაქტივების/ხსნარების უტილზაციისთვის), ამწოვი კარადა ან ინდივიდუალური გამწოვი სისტემის მონტაჟი, რეაქციების უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

დაწესებულების მენეჯმენტმა და შესაბამისმა სპეციალისტებმა (მოდულის განმახორციელებელი პერსონალი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი) უზრუნველყონ საქმიანობის დაგეგმვისას რისკზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება. შემუშავდეს დაწესებულებაში რისკების შეფასებისა და მართვის პროცედურა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შრომის უსაფრთოების სპეციალისტის პირადი საქმე
2. C გარემოსა აუდიტორიების ამსახველი ფოტომასალა
3. ახალ კორონა ვირუსთან (COVID-19) პრევენციის მექანიზმები
4. „შრომის დაცვასა და უსაფრთხოებაში სწავლებისა და ცოდნის შემოწმების დებულება“ (ბრძ.#2-27, 17.04.2019)
5. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები
6. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები
7. საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები
8. “კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა
9. ვიზუალური დათვალიერება/შეფასება

შესაბამისობა:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედგების შეფასების სისტემა („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ მუხლი 10). წესი ხელმისწავდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში გაწერილია სწავლის შედეგის შესაბამისი შეფასების მიმართულება და მეთოდები. შეფასების სისტემა აგებულია ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს: სამართლიანობას, საანდობას, ობიექტურობას, გამჭვირვალობას, ვალიდურობას. საანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს და დაფუძნებულია ჩათვლის პრინციპზე (ეფუძნება კომპეტენციის დადასტურებას). შეფასების წესების/ინსტრუმენტების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირების ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც ვალდებულია განმსაზღვრელი შეფასების დადგომამდე 3 დღით ადრე დეტალურად გააცნოს სტუდენტს შეფასების პირობები და წესები. შეფასების წესი ითვალისწინებს ასევე განმეორებითი დადასტურების პროცედურას, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური მოთხოვნები.

შეფასების განხორციელებამდე დაწესებულების სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერების, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხორციელედება ინსტრუმენტის ვალიდაცია. წესი ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის აცილების მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურის შემუშავება-დანერგვის შესახებ აქტივობები. ვერიფიკაციის პროცედურა დაწესებულებას შემუშავებული აქვს, ასევე განსაზღვრული აქვს მისი დანერგვის პერიოდი - 01.03.2021. თუმცა ვერიფიცირების პროცესი ამ ეტაპამდე არ განხორციელებულა, რისკებისა და კომენტარის ნაწილში დაწესებულების მიერ აღნიშნულია, რომ პანდემიიდან გამომდინარე, შესაძლებელია აქტივობის გადავადება.

ვერიფიკაციის მიზნებისთთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება ჯგუფი (შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და დარგის სპეციალისტები), სადაც უზრუნველყოფილია ინტერესთა კონფლიქტის დაცვა.

3. დაწესებულების შიდა დოკუმენტებით განსაზღვრულია, რომ განმახორციელებელი პირი, მოდულის განხორციელების პროცესში, თავად უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების შენახვას. მოდულის დასრულების შემდეგ კი გადაეცემა სასწავლო პროცესის ან პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ შენახვასა და დაცვას. განსაზღვრულია ასევე შეფასების ინსტრუმენტებისა და უწყისების შენახვის ვადა. დაწესებულების მიერ შეფასების ინსტრუმენტი ინახება კვალიფიკაციის მიჭების ან პროფესიული სტატუსის შეჩერების შემდეგ 3 წელი, ხოლო შეფასების უწყისი - მუდმივად.

4. დაწესებულების შეფასების სისტემა გულისხმობს განმავთარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. რომელთა განხორციელებისას აუცილებლად ხორციელდება უკუკავშირი პროფესიულ სტუდენტთან მათი ცოდნის/უნარების შემდგომი განვითარებისთვის.

დაწესებულება შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების შეფასების შედგების პროცესების შემდგომი განვითარებისთვის გამოყენება, რაც გულისხმობს: მოდულებისა და პროგრამების განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამაში მოდულების რიგითობის განსაზღვრას, სწავლების მეთოდებისა და საგანმანათლებლო რესურსის გადახედვას, შეფასების ინსტრუმენტის განვითრებას (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პუნქტი 3.3.).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის :კონსტრუქტ2“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის :კონსტრუქტ2“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

PDF Eraser Free

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....
.....
.....
.....

25.05.2021.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------